საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თათარაძე ავთანდილ არსენის ძე

ა. თათარაძე

თათარაძე ავთანდილ არსენის ძე (16. III. 1919, თბილისი, – 5. V. 1998, იქვე), მოცეკვავე, ქორეოგრაფი და პედაგოგი. საქართვ. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1961). 1953 დაამთავრა სპი-ის სამშ. ფაკ-ტი. ინ-ტში მონაწილეობდა თვითმოქმედ ქორეოგრაფიულ წრეში (ხელმძღვ. ჯ. ბაგრატიონი). 1937–41 და 1946–56 იყო საქართვ. სიმღერისა და ცეკვის სახელმწ. ანსამბლის მოცეკვავე (1948-იდან – ქორეოგრაფი). 1955-იდან ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თბილ. მხატვრული თვითმოქმედების კულტ.-საგანმან. სასწავლებელში (ცეკვისა და ცეკვის კომპოზიციის განხრით), 1957-იდან ხელმძღვანელობდა ქორეოგრაფიულ განყ-ბას. თ-ის საუკეთესო დადგმებია შემდეგი ცეკვები: „ძველი თბილისის სურათები" (1951), „სამთა მთიულური" (1951), „იმერული სახუმარო" (1954), „ფშავ ქალთა ლხინი" (1958), „ფერხული" (1966), „თამარ დედოფალი" (1968) და სხვ. მისი დადგმები გამოირჩეოდა ფორმის ნაირფეროვნებით, პირველწყაროსთან სიახლოვით, დახვეწილი ტექნიკით. 1969–98 თ. თბილ. საესტრადო-საცირკო ხელოვნების სასწავლებლის პედაგოგი იყო. მისი მოწაფეებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ფ. სულაბერიძე, ჯ. ნავროზაშვილი და სხვ. ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნ. მუშაობას ქართ. ქორეოგრ. და ცეკვის თეორიის დარგში. ავტორია არაერთი სამეცნ. თუ მეთოდ. ხასიათის ნაშრომისა: „ცეკვა ქართული" (1956), „ცეკვის ჩაწერის პირობითი ნიშნები" (1966), „ძველი ქართული (სვანური) ფერხულები" (1976), „ქართული ცეკვების განმარტებანი" (1986), „ქართული ხალხური ქორეოგრაფიის ისტორიის საკითხები", „ქართული ხალხური ცეკვა" (2010) და სხვ. თ-ის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით მოეწყო

სამეცნ. ექსპედიციები თითქმის მთელ საქართველოში. მან პირადად ჩაიწერა და გამოსცა სვანეთში დღემდე შემორჩენილი უძველესი წარმართული ხასიათის ფერხულები. 1985-იდან იყო ქართ. ხალხ. ცეკვის სახალხო უნ-ტის ქორეოგრ. კათედრის გამგე.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1998).